ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის,

ჯაბა ჯიშკარიანის 2019 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრიი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6-ე მოწვევის,მთაწმინდის რაიონის (დამოუკიდებელი) მაჟორიტარი წევრი, სარევიზიო კომისიის წევრი. ეკონომიკური განვითარების.საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი (ა/წ 16 აგვისტომდე), ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი(ა/წ 16აგვისტოდან),

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2018 წლის ნოემბერს, დეკემბერსა და 2019 წლის იანვრიდან, ოქტომბრის ჩათვლით.

მოგახსნებთ, რომ მე-6-ე მოწვევის საკრებულოს 2018წლის 01 ნოემბრიდან მუშაობის პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 45 სხდომა, ამდენივე ბიუროს სხდომა. ჩატარებულ სხდომებზე მიღებულ იქნა 371 განკარგულება და 95 დადგენილება აღნიშნული სხდომებიდან არ დავესწარი 3 სხდომას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა:

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომები (საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2018 01 ნოემბრიდან 2019 წლის 16 აგვისტომდე)

2018 წლის ნოემბრიდან 16 აგვისტომდე ჩატარებულია კომისიის 10 სხდომა, სხდომებზე განხილული იქნა 12 საკითხი.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი(ა/წ 16აგვისტოდან), დღემდე.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 14 კომისიის სხდომა. აქედან კომისიის წევრი ჯაბა ჯიშკარიანი დაესწრო 2 კომისიის სხდომას (კომისიის წევრი გახდა ა/წლის აგვისტოს თვიდან)

კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 153 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 15 ცვლილება და ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 1 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება. ასევე საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა ახალი გენერალური გეგმა, სადაც ასევე განხორციელდა 101 ზონალური ცვლილება და დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 8 ზონალური ცვლილება.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 43 პროექტი, აქედან დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 1 პროექტი.

სარევიზიო კომისიის სხდომები:

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია კომისიის 17 სხდომა, დასწრება 14 სხდომაზე

მთაწმინდის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრები და მათთან ურთიერთობა :

2018 წლის ნოემბრიდან, 2019 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, მხოლოდ გეგმიურ ოთხშაბათს, ანუ მოქალაქეთა მიღების დღეს პირადად 237 მოქალაქეს შევხვდი, ჩემი წარმომადგენლები - 295 მოქალაქეს... პრობლემები,რომლებიც შეხვედრაზეა ხოლმე წარდგენილი----, ძირითადად სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვისა და მიწის ლეგალიზაციის მიმართულებით არსებულ საკითხებს, ასევე მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე (თბილისური ეზოს) ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების ავარიულობა და მათი გამაგრება აღდგენით საკითხებს ეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოსულია მოქალაქეების 275 განცხადება, რომელთაც შესაბამის უწყებებთან წერილობითი შუამდგომლობა გაეწიათ. მათი დიდი ნაწილი დადებითად გადაწყდა, ნაწილი კი სირთულიდან გამომდინარე, დამუშავების პროცესშია.

ასევე ზეპირი შუამდგომლობა (შტანილ განცხადებაზე) გაეწია 283-მდე მოქალაქეს მთაწმინდის რაიონის გამგეობასა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში.

აქტიურად ხდება მისამართებზე, ეზოებსა და სახლებში გასვლითი შეხვედრები. მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ დროისათვის 100-ზე მეტი მისამართი გვაქვს შესწავლილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრი

ჯაბა ჯიშკარიანი